№ 138

პარასკევი, 1 ივლისი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

# ივერია

№ 138

პარასკევი, 1 ივლისი 1894

რედაქცია:

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**

და განცხადებათა დასაბეჭდად

უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:**

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

## ლექსები

თავ. ვახტანგ ორბელიანისა

სრული გამოცემა მის ასულის მარიამ ორბელიანისა, ავტორის პორტრეტით, სასარგებლოდ ქართველი ქალების მომავალის სკოლისა და წერა-კითხვის საზოგადოებისა. ფასი სქელ ქაღალდზედ მანეთი, ვინც ათობით იყიდის—ოთხი აბაზი, მოთხელო ქაღალდზედ ფასი სამი აბაზი, ათობით მყიდველი მიიღებს ათ შაურად წიგნსა. ისყიდება თბილისში წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში.

(10—1420—3)

## „ივერიის“ რედაქციისაგან:

ვისაც სურს, რომ პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხვედრი ფული ივლისისავე პირველ რიცხვამდე.

ამასთან ვაცნობებთ ხელის-მომწერლებს, რომ თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა, უნდა წარმოადგინოს ერთს მანეთი, ხოლო სხვა ყოველი-ადრესის შეცვლისათვის-კი — ორი აბაზი.

## ტფილისი, 1 ივლისს

რუსული გაზეთი „Нов. Обоз.“ გვატყობინებს, რომ სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორად კომიტეტს უკვე დაუნიშნავს ამ სკოლის მასწავლებელი ბ-ნი ექვთიმე თაყაიშვილი.

ჩვენ გვგონია, რომ სკოლის კომიტეტმა მთელად დააკმაყოფილა ამ შემთხვევაში საზოგადოების მოლოდინი, რადგანაც ბ-ნის თაყაიშვილის არჩევას ამ ადგილზედ თანასწორად თანაუგრძნობდნენ ყველა დასის წარმომადგენელნი.

ამ გვარი საერთო აზრი ახლად არჩეულის ინსპექტორის შესახებ იმისი საბუთია, რომ სკოლას საიმედო შეურისუფალი გაუჩნდა და, რომ ბ-ნი თაყაიშვილი გონიერად გაუძღვება ამ სასწავლებელს.

როდესაც ჩვენ ვამბობთ, რომ ბ-ნ თაყაიშვილს სულ სხვა-და-სხვა დასში ასახელებდნენ სათავად აზნაურო სკოლის ინსპექტორის კანდიდატადაო, ამ გარემოებას განსხვავებული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ჩვენში დღეს, რადგანაც დას-დასობამ არა თუ სხვა და-სხვა დაწესებულებაში შერგო თავი, არამედ თვით ოჯახი, ცოლ-ქმარი და მამაშვილიც-კი ვერ აშორდნენ ამ ჩვენის დროის სენს; დასდასობამ ყველგან არია და მოწამლა სიცოცხლე.

აი ამ გვარ დროს დამოუკიდებლად, თავისუფლად დარჩენა მართლა რომ ძნელია. თუმცა სკოლა, ეკკლესია და სამსჯავრო, რასაკვირველია, ყოველთვის შორს უნდა იდგნენ ყოველის ისეთის მოვლინებისგან, რომელიც ადამიანის სულის მყუდროებას აშფოთებს და დაფარულ ვნებათა"ღელვას გამოიწვევს ხოლმე სამოქმედოდ. მაგრამ ადამიანი მაინც ბუნების შვილად რჩება და თანაგრძნობა, თუ სიძულილი თან ახლავს თითოეულის საგნისა, ოითოეულის მოღვაწისა. ამას კაცი ვერ გაექცევა და არც არავინ გაამტყუნებს ვისმე, რომ იგი ემორჩილება ბუნების კანონს. მაგრამ დანაშაულობა მოღვაწისა, რომელიც შორს უნდა იყოს ცხოვრების ტალღებისაგან, მაშინ იწყება, როდესაც ეს მოღვაწე მხურვალე მონაწილეობას იღებს საქმით, მოქმედებით.

ამ გვარის ბრალდებისაგან, როგორც აღმოჩნდა, ბატონი თაყაიშვილი სრულიად შეუხებელია და იმედია ჩვენი სკოლაც იმისის ხელმძღვანელობით გარებს გამოუკეტავს დას-დასობანას.

თუმცა ეხლა უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ აღარა გვჯერა, რომ შემდეგშიც შესაძლო იყოს ისეთი ფიცხელი დამოკიდებულება საზოგადოებაში, როგორიც წელსა ვნახეთ, რადგანაც თითონ ის დასი, რომელიც თავის თავს ოპოზიცად უწოდებდა, როგორღაც გადნა და დაჰკარგა საფუძველი არსებობისა (raison d'être). არა გვგონია, რომ იმ დასის აღდგენა და განახლება შესაძლებელი-და იყოს ოდესმე იმ პროგრამით მაინც, რა პროგრამასაც ეს დასი აღიარებდა, თუკი მოხერხდება პროგრამმა ვუწოდოთ იმ უთავბოლო ლაპარაკს, რომელიც ჩვენ ორის კვირის განმავლობაში გვესმოდა.

აი ახლაც რომელიმე კრეტინი, რომლისთვისაც ღმერთს არც საკუთარი აზრი მიუცია და არც ნიჭი სხვისის აზრის გაგებისა, ადგება და დაიწყებს გოდებას: „შეხედეთ „ივერია“ რაებსა ჰქადაგებს, დასობისა და პროგრესსის წინააღმდეგ აღშფოთებულა, უარ-ჰყოფს განათლებას და სხ. და სხ." და თან ისეთის მართებულის სიტყვებით შეგვამკობს, რომელიც მხოლოდ საფარეშოში—ისიც ცუდის ოჯახის საფარეშოში—და დუქანში აღზრდილ კაცისაგან არის შესაძლებელი.

ამ საბრალო მბდაჯვნელთ მცირედენი გაგება რომ ჰქონდესთ, მაშინ ისინი აიღებდნენ თითონ აზრს, რომელსაც უვარგისად სთვლიან და გაარჩევდნენ: დაანახვებდნენ მკითხველს რა ბოროტება, და უვარგისობა მოიპოვება რომელსამე წერილში. ა, ეს არის პირდაპირი გზა აზრთან ბრძოლისა, და არა უკადრისი სიტყვა-პასუხი, რომელიც, რასაკვირველია, ამ გაუზრდელ მბდაჯვნელთ გარდა, ვერავის ვერას ავნებს. გაიგეთ, რომ ჩვენ დასდასობაც მოგვწონს და აზრის აზრთან შებრძოლებაც, მაგრამ ყოველსავე ამას საფუძვლად აზრი უნდა ჰქონდეს, აზრი ადამიანური!..

მაგრამ ჩვენ ერთობ ავშორდით საგანს დღევანდელის ჩვენის წერილისას, რომლითაც გვ უნდა აღგვენიშნა ის სასიამოვნო მოვლენა, რომ ბ-ნის თაყაიშვილის არჩევანს თანასწორის თანაგრძნობით მიეგებნენ-მეთქი ყველგან. ეს დიდი სახელია ახლად არჩეულისათვის და საზოგადოებას უფლება აქვს იმედი იქონიოს, რომ ბ-ნი თაყაიშვილი დიად ღირსეული, გონიერი და დამოუკიდებელი აღმზრდელი იქნება ჩვენის შვილებისა.

მეველე

## დეპეშა

28 ივნისი

**რომი.** პაპი დიდად დაუძლურებულია; ფეხზედ კვლავ დაეწყო უწინდელი წყლული. იმისნი მახლობელნი იმ აზრისანი არიან, რომ შეიძლება ჩქარა გარდაიცვალოსო; პაპი დიდად იტანჯება სიცხისაგან და ხშირად მისდის გული.

**სტამბოლი.** დღეს ნაშუადღევის 12 საათსა და 20 წუთზედ ორჯელ იძრა მიწა და სტამბოლი დიდად დააზარალა: რამდენიმე კაცია მოკლული; ქალაქის მცხოვრებელნი დიდად შეშინებულნი და დამფრთხალნი არიან და სახლში აღარ შედიან, მინდორზედ არიან გასულნი; კანტორები, ბანკები და ბირჟა დაკეტილია.

**სოფია.** კერძო კაცნი სჩივიან სტამბულოვზედ, რომ უფლებას იგი ბოროტადა ჰხმარობდაო. ამას გარდა, ჯერ არ შეწყვეტილა გამოძიება ბელჩევის საქმის და ტიუფეკჩიევის სიკვდილის გამო, რომელიც საპატიმროში იმდენი აწვალეს, რომ გარდაიცვალა. საზოგადოდ იმ აზრისანი არიან, რომ სტამბულოვი ვერ გადარჩება სასამართლოსაო.

29 ივნისი

**პეტერბურგი.** შეერთებულს შტატებში რკინის გზის მუშებმა პირი შეჰკრეს და აღარა ჰმუშაობენ. პრეზიდენტმა კლივლენდმა პროკლამაცია გამოსცა და თხოულობს, რომ მუშაობის აღმთქმელნი ნუ იკრიბენდა.

## ფელეტონი

### ცოტა რამ შინაური

„მზე და მთვარე რომ ჩემსკენ იყვნენ, ვარსკვლავებს სულაც არას შევეპოვებიო“, უთქვამთ ძველად ჩვენს ქართველებსა და თავისი ცხოვრებაც თანახმად ამ ანდაზისა მოუწყვიათ. წინანდელი ქართველი არც ერთს ვარსკვლავს ნებას არ მისცემდა წაერთმია მისთვის რომელიმე უფლება, მზისა და მთვარისაგან მინიჭებული. რასაც-კი ხელმწიფე და კანონი არგუნებდა, მტკიცედ, შეუპოვრად იცავდა, არ უნდა მთელი გუნდა დაბალის მოხელეებისა გამსჭვალული ყოფილიყო წადილით—ხელიდგან გამოეგლიჯა მინიჭებული უფლება და დაებრიყვებინა იგი.

ეხლა? ეხლა რაღასა ვხედავთ? სრულიად წინააღმდეგს სურათსა. ყოველს ბეჟუტა ვარსკვლავს შეუძლიან ხმა-ამოუღებლივ წაართვას ჩვენის დროის ქართველს უფლება, ნაბოძები მზისა და მთვარისაგან, დაიბრიყვოს იგი, დაბალ ლობედ გარდააქციოს და ფეხქვეშ ქელოს. და განა მარტო ვარსკვლავსა? არა, ესევე შეუძლიან ჩაიდინოს რომელსამე ცდომილსა, სრულიად მოკლებულს საკუთარს სინათლესა და ძალსა, და დაგვიწიოს იმისთანა ოინი, რომელიც შეჰფერის მხოლოდ მძლავრსა და დიდი უფლებით შემოსილსა.

გადაათვალიერეთ ჯეროვანი ყურადღებით ჩვენი აწინდელი ცხოვრება, ჩააკვირდით მის ძარღვებსა და სახსრებსა და თქვენთვის ცხადი შეიქმნება, რომ არც ერთი სფერა, არც ერთი წოდება არ მოიპოვება ჩვენში, რომელსაც ჩამორთმეული არა ჰქონდეს არა ერთი და ორი, არამედ ბევრი, საარსო უფლება, რომელიც ჩვენთვის ხელმწიფესა და კანონს მიუნიჭებია.

როცა რომელიმე უფლება სახელმწიფოს უმაღლესის ძალისაგან აქვს ჩამორთმეული ადამიანსა, ან მთელს ერსა, და ესენი ემორჩილებიან თავისს ბედსა, თუნდაც ჩამორთმევა უსამართლოდაც მოხდა არიყოს, ეს უძლურებას და არაფრობას მორჩილისას როდი მოასწავებს. მოგეხსენებათ, რომ ძალა ალმართსაც ჰხნავს და ძლიერს ლომსაცა ჰბოჭავს. გარნა ამის გამო არც ალმართი იქცევა დაღმართად და არც ლომი კურდღლად. მაგრამ თუ ადამიანი, ან ხალხი სიტყვა-ამოუღებლივ, ქედ-მოდრეკით ემორჩილება დაბალი ლობის ბედსა, რომელიც მისთვის მიუსაკუთრებია, წინააღმდეგ კანონისა და ხელმწიფის სურვილისა, წვრილფეხას, ეს იმისი უტყუარი ნიშანია, რომ მონაობა, ყურმოჭრილი ყმობა, ულირსობა შეჰპარვია საზოგადოებას სულსა და გულში.

ამაზედ უარესი, მომაკვდინებელი სენი აღარ იქმნება ერისათვის, ეს სწორედ განგრენაა, მჭამელია, საშინელი შინაგანი სენი, რომელიც ხალხს ამზგავსებს ჭირით შეპყრობილს პირუტყვთა ხროვასა და ემუქრება ყოველის მომავლის გაქარწყლებასა.

თუ ხალხს სადმე მკურნალი მოეძებნება, ამ ავადმყოფობას უნდა აღმოუჩინოს წამალი, მას უნდა მოანდომოს თავისი მთავარი ძალა და ცოდნა. თუ გულ-შემატკივარნი, გულმხურვალე მოღვაწენი ჰყავს, ამ დამამხობელის ნაკლის მოსასპობად უნდა ზრუნავდნენ უპირველესად ყოვლისა. თუ ერს ჰყავს მწერალნი, გულისა და ჭკუის პატრონნი, მათ დაუღალავად უნდა გამართონ ღაღადება ამ საშინელის სატკივრის წინააღმდეგ.

რას სჩადიან ჩვენი ერის მკურნალნი, მოღვაწენი, მწერალნი? იქცევიან იგინი, როგორც შეჰფერის გონიერთა და გულ-მხურვალე მამულიშვილთა, თუ მოგვაგონებენ საარაკო ყვავსა და ახირებულს სკვითსა?

ყვავს თურმე თვალებსა სთხრიდნენ და წამწამებზედ სტიროდა. თვალის ჩინის დაკარგვას-კი არა სჩიოდა, წამწამების შერჩენას ევედრებოდა. სკვითს თავს აგდებინებდნენ და მდუღარე ცრემლსა ჰღვრიდა, რაზედ? თავზედ? სრულიადაც არა. იმას გულს უკლავდა მხოლოდ თმების დაკარგვა, თავი-კი სრულიად დავიწყებული ჰქონდა.

თითქმის თელი ჩვენი მოქმედი დასი მოგაგონებთ ამ საზღაპრო ყვავსა და სკვითს, მათს საოცარს საქციელსა. უმთავრესნი მხარენი ჩვენის არსებობისა, საარსო საჭიროებანი ჩვენის ცხოვრებისა, დიდნი ნაღველნი თითქმის მივიწყებულნი არიან ყველასაგან, უყურადღებოდ დატოვებულნი. მთელი ჩვენი ღონე, ნიჭი და ძალა ხმარდება წვრილმანს რასმეებს, უმნიშვნელო საგნებსა, ჩანჩხვარ-მანჩხვარსა. ნამდვილნი, ძირითადნი მიზეზნი ჩვენ დაცემისა, დაქვეითებისა ხელ-შეუხებელნი რჩებიან,—მხოლოდ წვრილმან შედეგებს მიუპყრიათ ჩვენი ყურადღება. შინაგანი ავადმყოფობა და მისი წამლობა არავის არ იფიქრებს, არავის არ აწუხებს. გარეგანი ძიძიბოები და მათზედ მალამოს წაცხებაა ჩვენი უმთავრესი საქმე, ჩვენი დიდი ღვაწლი. საითკენაც უნდა მიიხედო, ყოველი მხრიდგან თვალში გეჩხირება გულ-საკლავი წვრილმანი ჩხირკედელაობა, ნაცარ-ქექია და აქ ყველაზედ სავალალო ის არის, რომ

ბიან ერთადაო. ილინოისში დიდად აღელვებულნი არიან ქვა-ნახშირის მღვიმე-მაღაროებში მომუშავენი; ვესტვილლში მთა-მადნის მუშებმა ჩიკაგოში მიმავალი რკინის გზის მატარებელი შეაჩერეს. მატარებლებმა კვლავ დაიწყეს სიარული; მუშათა მეთაური დებსი დაპატიმრებულია და შეთქმულობის ბრალი ედება. ხვალ მეამბოხენი სულ აპირებენ მუშაობის ალკვეთას და ამიტომ აქეთ დიდ-ძალი ჯარი მოდის; კალიფორნიაში საქმე ძალიან ცუდს მდგომარეობაშია: ექვსი როტა ჯარისა გაიგზავნა ხომალდით სან ფრანცისკოდგან საკრამენტოში; ჯარს თან მიაქვს ჰატლინგის ზარბაზნები და სხვა იარაღი; მეამბოხედ გადასწყვიტეს, რომ წინააღმდეგობა გაუწიონ ჯარს; მუშებს 1500-მდე თოფი და დიდ-ძალი რევოლვერი აქვთ.

**სოფია.** პრინცი ფერდინანდი ვენაში წავიდა.

**პარიზი.** საერთაშორისო მორიგება ანარხიზმის მოსპობის შესხებ მხოლოდ საპოლიციო ღონისძიებათა შემოღებით დაკმაყოფილდება; ანარხისტებს პოლიციელები ადევნებენ ყოველთვის თვალ-ყურს, უცხო ქვეყნელი ანარხისტები-კი გაგზავნილ იქმნებიან სამშობლოში. შვეიცარიასაც მოსწონს ეს პროექტი ანარხისტთა წინააღმდეგ შემოსაღებ ღონის ძიებათა; იტალია არ არის თანახმა ამ პროექტის ასეთის სახით განხორციელებისა. ეს ღონის ძიებანი შემოღებოლ იქმნა ამ წლის ოქტომბრის თვეზედ ადრე.

# ახალი ამბავი

** გუშინ, 30 ივნისს, დილის 8 საათზედ ამიერ-კავკასიის მთავარ-მართებელი, გენერალ-ადიუტანტი შერემეტევი მეუღლითურთ კავკასიის სამხედრო გზით კისლოვოდსკს გაემგზავრა.

** როგორც დარწმუნებით შევიტყეთ, ბ-ნს კავკასიის მთავარ-მართებელს უკანონოდ უცვნია და გაუუქმებია არჩევანი, ბ-ნი ი. სულხანიშვილისა, რომელიც გორის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლად იყო არჩეული.

** მკურნალი ა. ო. იაშვილი, რომელიც ერვნის მაზრაში სოფლის მკურნალად იყო, დანიშნულია ისევ სოფლის მკურნალად ტფილისის მაზრაში, სოფ. საგარეჯოს, სადაც საავადმყოფო არსებობს აფთიაქით; სოფლის მკურნალი ბეზირგანიშვილი-კი გადმოყვანილია გორის მაზრის მკურნალად. ა. იაშვილი გაემგზავრა კიდეც საგარეჯოს.

** სოხუმი: ოც-და-სამს ივნისს აქ ჩამოვიდა ბ-ნი რატილი თავისის ხოროთი და გამართა კონცერტი აქაურს კლუბში. ხალხით აივსო კლუბი. რასაკვირველია, უმეტესობა ქართველობა იყო. საზოგადოებას მეტისმეტად მოეწონა ჩვენებური სიმღერები, კლუბის დარბაზში ,,ვაშას'' და ,,ქართველ მღერალთ გაუმარჯოს'' ძახილით ყურთა სმენა არ იყო. თითო საგალობელი ორჯელ-სამჯერ გაამეორებინეს. სოხუმელები ჰნანობენ, რომ ბ-ნმა რატილმა ერთი კონცერტის მეტი არ გაჰმართაო.

** ს. ვეჯინი: 25 ამ თვეს საღამოს ათის ნახევარი იქნებოდა, როცა მთვარისაგან მკრთლად განათებული კახეთი უცბად გასაოცარმა სინათლემ მოიცვა და დიდი და პატარა ფეხზედ დააყენა. მიზეზი ამ უეცარის გაკაშკაშებისა იყო კახეთზედ გადავლილი მეტეორი, რომელმაც ძლიერ დაბლა-დაბლა გაიარა დასავლეთიდგან აღმოსავლეთისკენ, შემდეგ შუშხუნასავით რამდენსამე ნაწილად დაიშალა და ბოლოს გაჰქრა კიდეც. მეტეორი ელექტრონსავით ანათებდა და ისე ძლიერაც, რომ ყველა ადგილი, სახლში და გარეთ ერთნაირად იქმნა განათებული; შენობებსა და ხეებს არც ერთს მხარეზედ ჩრდილი არა ჰქონდათ. მეტეორის გავლის რამდენსამე წუთის შემდეგ ცაში გაისმა ყრუ ქუხილის მსგავსი ხმა. ამ დროს შორს, კავკასიონის მთებზედ წვიმა იყო და ელავდა კიდეც. ამ საღამოს ამ ერთის ქუხილის მეტი ხმა არა გვსმენია, თუმცა წვიმამ და ელვამ, როგორც მეტეორის წინად, ისევე შემდეგაც კარგა ხანს გასტანა.

** დ. ახალ სენაკი. მთელს სენაკის მაზრაში ერთად-ერთი დედათა სასწავლებელი არსებობს, რომელშიაც ორმოც-და-ათამდე ქალი სწავლობს. თუმცალა სწავლის მსურველების რიცხვი ბევრია, მაგრამ უადგილობისა გამო ვერ იღებენ სასწავლებელში. ივნისის 3, 6, 9, 14 რიცხვებში იყო წლიური გამოცდა რომელსაც, დაესწრნენ მშობლები, მოსწავლეების ნათესავები და აქაური საზოგადოება. საზოგადოდ ეგზამენმა მშვენიერად ჩაიარა. წელს შვიდმა ქალმა შეასრულა სასწავლებელი. თუმცალა ერთ-კლასიანი სასწავლებელია სამი წლის კურსით, მაგრამ რუსულს მშვენიერათ ლაპარაკობენ, კითხულობენ და სწერენ. რუსულის ენის ასეთს ცოდნას, ჩვენის აზრით ძლიერ ხელს უწყობს ქართულის ენის ცოდნა.

ამასთან საჭიროა ყურადღება მიექცეს, რომ სახლი სკოლისა დაძველებულია, დამპალი, ყოველ მხრით ოთახებში წყალი ჩამოდის. მოწაფე ქალების რიცხვი დღითი დღე ჰმატულობს და ეხლანდელი სასწავლებელი ვერ აკმაყოფილებს მსურველთა რიცხვს. სენაკის საზოგადოებას შეძლებაც აქვს და სურვილიც გააუმჯობესოს სკოლის საქმე ქონებრივად, მაგრამ ამას თაოსა უნდა, სკოლისათვის საჭირო არის მზრუნველი, რომელსაც მისთვის გული შესტკიოდეს, და თვალ-ყურს ადევნებდეს იმის ბედ-იღბალს.

** ოსეთი: ბარის ოსეთში ამ ბოლოს დროს საკმაოდ ბლომად გაიმართა სამრევლო სკოლები. ინსპექტორად ამ სკოლებისა 1889 წლიდგან იყო მამა არხიმანდრიტი ლეონიდი, რომელმაც დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის. 1893 წლის დამლევს მამა ლეონიდმა თავი დაანება აქეთ სამსახურს. მასწავლებლებმა გადასწყვიტეს გამოეცხადებინათ მისთვის თვისი თანაგრძნობა და პატივისცემა და ამ აზრით შეიკრიბნენ 18 ივნისს არდონში, გადიღეს თვისი ერთიანი სურათი და სახსოვრად გაუგზავნეს თვის უფროსად ნამყოფს.

** იქიდამვე: აქეთკენ საქონლის ჭირი ადარა ნელდება. საცა გაჰქრა ამას წინად, ახლა კიდევ იჩინა თავი და ამის გამო ყველგან კარანტინები შეიკრა. ცხვრის პატრონებსაც ნება ადარ ეძლევათ ცხვარი მთისკენ გაჰრეკონ. თუ მართლა ნება ადარ მისცეს, ცხვარი სულ გაწყდება აქეთ, რადგან ზაფხულის სიცხეებს ვერ გაუძლებს.

სოფ. ხუმელაგასა და ყაყადურში ამ ბოლო დროს ცხენებიც იხოცებიან: დასივდებიან, ყვითელი წბოლი დასდით და კვდებიან. რა სენია ეს სენი, არავინ იცის. ოსები ცხენის ჭირს ეძახიან.

** საჯავახო: წითელა აქეთ გაწელდა და თითქმის ავად ადარავინ არის.

** სოფ. ზნაში (დუშეთის მაზრა): ჩვენს სოფელში სცხოვრებენ სამის გვარეულობის ოსები ერთს უბანში და ვერა რიგდებიან ერთმანეთში. დიდი ხანია შურის ძიება აქვთ ერთმანეთში და ხშირად მოსდით უსიამოვნება. ამ 25 ივნისსაც მოუვიდათ ჩხუბი, დაერივნენ ერთმანერთს ხანჯლებითა და კეტებით და ბოლოს ქვის სროლაც-კი გაიმართა. დაჭრილი და დამტვრეული რვა კაცია, ამათ შორის ორი მძიმედ არის დაშავებული, ექვსი-კი მსუბუქად. ეს ამბავი მამასახლისმა ქეთშეთის პოლიციის ბოქაულს აცნობა.

# დამაკვირდი

გისაც ჯერჯვითარი უსამრთლობა ჯერ აუტანია, იმან ფუნჯარაში ხრასოდეს არ უნდა გაისვდოს და კარებიც დაკეტილი ჰქონდეს. კარგი იქნება თავისს სირგვსაც რომ გადააფარებდეს რასმე.

სეიდი

**

თითოეულმა რომ თავისი კარ-მიდამო სუფთად შეინახოს, მთელი ქუჩა სუფთა და ფაქიზი იქმნებოდა.

მეიდანი (არაბული)

## დაღუპვა ხომალდის „ვლადიმირისა“

ხომალდი ,,ვლადიმირი'', რომელიც ახალის და მშვენიერის აგებულებისა იყო, 23 ივნისს, ხუთშაბათს, შუადღის 12 საათზედ, გაემგზავრა ბათუმიდგან ოდესსას; უნდა გაევლო გზად: ნოვოროსია, ქერჩი და სევასტოპოლი. ზღვა ცოტა ჰღელავდა, ქარი ოდნავ ჰქროდა და ცა მოღრუბლული იყო. ღამის 12 საათზედ ქარი ჩავარდა, მაგრამ საშინელი ნისლი მოედო ზღვას, ასე რომ, როდესაც ხომალდი თანრხანკუტს გაუსწორდა, რამდენისამე საჟენის მანძილზედ გემის ერდოზედ მყოფნი ზღვაოსანნი და მოგზაურნი ერთმანეთს ვერა ჰხედავდნენ და ძლივს-ძლივობით სჩანდა ცეცხლი იმ ლამპრისა, რომელიც იქვე, ხომალდის წინაერძოზედ ენთო.

უეცრად, სამი საათი იქნებოდა ღამისა, რალაცამ საშინლად დაიჭექა, როგორც მეხმა, და ხომალდზედ საზარელი ხმა გაისმა: „გვიშველეთ!.. ვიღუპებით! წყალი შემოვიდა ხომალდშიო!..“ ხალხი აირ-დაირია, დარბოდნენ, ერთმანეთს ჯდლებოდნენ... ყველა ხომალდის ერდოსაკენ ეშურებოდა; მამაკაცები, მანდილოსნები, ბავშვები ყველა კივილ-წივილით პერანგის ამარა გარბოდნენ ხომალდიდგან... ზოგი ზღვაში ვარდებოდა პირდაპირ; ზოგი ყველაფერს, რაც-კი ხელში ჰქონდა, ზღვაში აგდებდა, შემდეგ თითონაც გადაჰყვებოდა ხოლმე და ებრძოდა ზღვის ტალღებს იმ იმედით, რომ იქნება როგორმე ეშველა თავისათვის.

ხომალდის უფროსს, ბ-ნ ლეფტერს, რომელიც ძალიან ხანში შესული, გამოცდილი ზღვაოსანია, შეენიშნა 50 საჟენზედ პირდაპირ მომავალი ხომალდის სანთლები და მაშინვე ებრძანებინა ხელ-ქვეითებისათვის მარჯვნივ გაუხვიეთ და სტვენა დაიწყეთო, მაგრამ... გვიან-ღა იყო!.. იტალიის ხომალდი „კოლუმბია“ დაეჯახა გვერდში „ვლადიმირს“ და შეამტვრია. არავინ იცის—დაინახა, თუ არა იტალიის ხომალდმა „ვლადიმირი“ და ეცადა თუ არა როგორმე გზა აექცია რუსეთის ხომალდისათვის.

გემის უფროსმა, წყლის დენა რომ ველარაფრით ვერ შეაყენა, ბრძანება გასცა წყალიდგან დაეცალათ ხომალდი, „კოლუმბიას“ ხომალდის უფროსს სთხოვა თავისს გემში გადაესხა მგზავრნი. ამავე დროს გამოჩნდა რუსეთის ხომალდი „ალექსი“, რო-

---

ამ ქარაფშუტობას და წვრილმანობას დიდ საქმედ ვსთვლით, დაუფასებელ ღვაწლად ვრაცხთ და თითქმის გაღმერთებას ვითხოვთ სამშობლოსაგან.

ჩვენ, ერთგულნი ვითმენთ ხმა ამოუღებლივ, სულმოკლედ, უაპელაციოდ კანონისადმი, იმისთანა შევიწროებას ბევრს სფერაში, რომლის ზმგავსი ძვირად მომხდარა და იშვიათად გაგონილა შესახებ ორგულის ერებისაც,—ვითმენთ, მაშინ როდესაც შეგვეძლო მათი თავიოგან აცილება, რადგანაც ეს შემავიწროებელნი გარემებანი დაბადებულან და არსებობენ კანონის მოთსოვნილობის წინააღმდეგ, ვიმეორებთ.

ამ გვარს ჩვენს სამრეცვინოს და დამღუპელ ქცევას როდი ვაბრალებთ ჩვენს სილაჩრეს, ჩვენს უვიცობას, აზრის სიუძლურეს, სამოქალაქო უნარისუქონლობას. ეს მართლი იქმნებოდა და სიმართლე-კი ჩვენს შესახებ ჭირივით გვეჯავრება. თავზედ ვახვევთ ჩვე ს საკუთარს ბრალს სხვას რასმეს, სახელდობ ესრედ წოდებულს ჩვენზედ დამოუკიდებელს გარემოებასა. სწორედ კარგს სამსახურს გვიწევს ეს „გარემობა“. იგი განტევების ვაცად გვყავს გარდაქცეული. როგორც ძველი ურიები ვაცს მიაყრიდნენ ხოლმე ყველა თავის ცოდოსა და გააგდებდნენ ტყეში, რომ იგი მგელს დაესაჯა მათ მაგივრად, ისე ამ დამოუკიდებულს გარემოებას ვახვევთ თავზედ მას, რაც უპირველად ყოვლისა ნაყოფია ჩვენის სიგლახაკისა და სილაჩრისა.

გნებავთ ამისი შეურყეველი საბუთი წარმოგიდგინოთ? ჩვენდა სამარცხვინოთ და სავალალოდ ჩვენში ბოლოს ხანს გაჩნდნენ ქვემძრომნი სულიერნი, რომელნიც ჩვენს წინაშე მხურვალე მამულიშვილად, პატრიოტად გვეჩვენებიან და სხვაგან-კი ყოველს ჩვენს ეროვნულს საუნჯეს, ყოველს უფლებას ძირს უთხრიან, ყველა „ვანიუხას“ წინ უსწრობენ ჩვენს „გავანიახობაში“, ჩვენ გათახსირებასა და გადაბირებაში; და როდესაც ეს სულდაბალნი ჩვენთან მოდიან და ფარისეველების ღრეჯით ხელს გვაწვდენენ, ჩვენ მათ, სულ მოკლე მონასავით, ხელს ვართმევთ და მეგობრულად ვექცევით. ამით ჩვენ ხელებს ვიტალახიანებთ, თავს ვირცხვენთ, ქვემძრომებს ვაქეზებთ, ფრთებ ვსხამთ, ხელს ვუწყობთ მათ გამრავლებას და საზოგადოებაში გახრწნილობას ვაკანონებთ. რომელი დამოუკიდებელი მიზეზი გვედობება ჩვენ წინ, რომ ამ ქვემძრომებს მივუწყოთ ის, რისიც ღირსნი არიან, ხელი-კი არ მივცეთ, არამედ ჩვენი წრიდგან სამუდამოდ გავდენოთ, როგორც უღირსნი და ქვეყნის ორ-გულნი.

გულგრილნი საზოგადო სიკეთისადმი, მოკლებულნი სამოქალაქო სიქველეს, ჩვენ გარდავიქეცით ბედედ გაზვიადებულის თავმოყვარეობისა. ყველას თავისი თავი ქვეყნის მხსნელად მიაჩნია და დარწმუნებულია, რომ საქართველო მასთან გაჩენილა და მასთანვე გაქრება. ჩვენი ქება და დიდება მიგვაჩნია დამსახურებულ ჯილდოდ და სიკეთეს მეორე დღესვე ვივიწყებთ,—სამაგიეროდ, ცოტაოდენი წყენასაც-კი დიდ შეურაცყოფადა ვსთვლით, ვიმარხავთ გულში და ვზრდით იმულილს მისდამი, ვინც გაბედა და იქმნება უნებლიეთ მოგვაყენა ცოტაოდენი უსიამოვნება. უძლურნი სიყვარულისა, სათნოებისათვის ჩვენ ვიჩენთ ძალას მხოლოდ ბოროტებასა და სიძულვილში. ქართველი გული ჩვენ „ოსურ გულად“ ვაქციეთ და ოცის წლის შემდეგ შეგვიძლიან ცეცხლი წაუკიდოთ ჩვენს მოყვასსა. ამსგამო ჩვენ დავემსგავსეთ ინდოურთა ხროვასა, რომელნიც აბჟირდებიან ერთმანეთს, უგალავენ თავებსა და იქანცებიან, მტრის სასიხარულოდ და სასარგებლოდ.

ნაყოფსაც შესაბამს ვიმკით: ხალხის განათლება ხალხის დაბნელებად გვექცევა, სკოლა ხელიდგან მიგვდის, ეკკლესია ცარიელდება, ორივე ბურჯი ერის ცხოვრებისა—ცოდნა ჵ სარწმუნოება—იკარგება ჵ იშლება. დაცარიელებულნი ადგილნი ძველ, მესხეთში და შავის ზღვის პირად მთლად გააქვანულნი ჩვენთა წინაპართა სისხლით და ისტორიულნი ჩვენნი საკუთრებანი, ნელ-ნელა ხელიდგან ეცლება ჩვენს ხალხს, მიწის სივიწროვესაგან სულ-შეხუთულსა, ადმინისტრაციისა, სამართალში და სხვა უწყებაში სულ ძირ-ძირ ჩამოვდივართ ვკარგავთ ერის სახელსაც-კი და სხვანი

ნუ იფიქრებთ, რომ ყველა ამას საშველი არა ჰქონდეს... ყოველი ჩვენი უფლების აღდგენა მოხერხდებოდა მოკლე ხნის განმავლობაში, ჩვენი განათლებული გუნდი რომ გარკვეული, ნათელი პროგრამით მოქმედებდეს, სამშობლოსადმი მოვალეობას ასრულებდეს, ხმამაღლა და გაბედვით ლაპარაკობდეს ჩვენის დაბრიყვების, ჩვენის საჭიროების შესახებ, ლაპარაკობდეს ჩვენშიაც და რუსეთშიაც და ხმარებდეს ყოველს კანონიერს ღონისძიებას ჩვენის სიმრთელის აღსადგენად. მაგრამ, საუბედუროდ, სადის, ნათელის პროგრამმის მაგიერ ჩვენს თავში აბდა-უბდა და უძლურს აზრებს დაუბუდნიათ და მამული-შვილობა ჩვენ მხოლოდ ენაზედ გვაკერია.

ი. სიმ—ძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელიც ოდესიდგან მოდიოდა, გაჩერდა, ღუზა წყალში ჩაუშვა და მიეშველა „ვლადიმირს". გადაიყვანა თავისთან ზოგიერთი მოგზაური და აგრეთვე უშველა ზღვაში გადავარდნილთ, ვინც ზღვას ებრძოდნენ.

ერთი საათიც არ გასულა ამ საშინელის შეჯახების შემდეგ, რომ ხომალდი „ვლადიმირი", რომელზედაც კიდევ იყვნენ დარჩენილნი მოგზაურნი და მოსამსახურენი, ხომალდებ „კოლუმბიისა" „ალექსის" თვალწინ ნელ-ნელა დაიხარა, დაიზნიქა და ძირს წავიდა. ხომალდის უფროსი იდგა და ბრძანებას აძლევდა იმ დრომდე, სანამ ხომალდი სრულიად არ შთანთქა ზღვამ და თითონ ისიც ტალღამ არ გაიტაცა... გადარჩა, თუ დაიღუპა—ჯერ არავინ იცის.

რამდენი მოგზაური იყო ხომალდზედ, ნამდვილად არ იციან, მხოლოდ, როგორც დეპეშებიდგანა სჩანს, 150-მდე მოგზაური უნდა ყოფილიყო და 40 ზღვაოსანი.

გადარჩენილთა რიცხვი ასამდის არის. ზღვაოსანთაგან ცოტა გადარჩა და ისიც, მხოლოდ ისინი, რომელნიც ნავებზედ ისხდენ მოგზაურთა მეორე ხომალდებზედ გადასაყვანად.

მოგზაურთა შორის ბევრნი იყვნენ კავკასიელნი. დეპეშებიდგან სჩანს, რომ თითქმის ყველა ისინი გადარჩენილან. სხვათა შორის გადარჩენილა ბრალმდებელი სამოსამართლო პალატისა სმიტტენი, თერძი დიურანი, ლაქსინის ოჯახობა, ზოგიერთნი სხვანი, და ორი ნავი-კი ველარ ნახეს; არ იციან, ხალხით ზღვის ნაპირისკენ წავიდნენ, თუ, როდესაც გემი წყალში ჩაიღუპა. იმათაც წამოედო და თან ჩაიტანა.. ხომალდი ,,ალექსი'' როგორც-კი დაიბინავა გადარჩენილნი მგზავრნი, იმავწამს ოდესსაში დაბრუნდა. ოდესსიდგან მაშინვე გამოგზავნეს გემები და ორიც ხომალდი და მცურავნი დამრჩვალთა გვამისა, ბარგისა, ფოსტისა და სხ. საძებნელად. მცურავნი გულ მოდგინედ შეუდგენენ საქმეს, მაგრამ ჯერ ცნობა არა არისრა მოსული, რა იპოვნეს.

დაღუპულთა რიცხვში სხვათა შორის მოჰყვა ქვრივი ანნა ალექსანდრეს ასული ყორღანოვისა, რომელიც თვის დასთან ერთად, კნეინა ბებუთაშვილთან, ვენაში მიდიოდა ქარების მოსარჩენად. საცოდავს ხომალდის სწორედ იმ მხარესა სძინებია, რომელსაც „კოლუმბია" დაეჯახა; იმისმა დამ მოასწრო თურმე გამოვარდნა და ის-კი მაშინათვე დაარჩო ხომალდში შევარდნილმა ტალღამ.

იმას გარდა, დაიღუპნენ ბაქოს არყის ქარხნის პატრონის ტერენტიევის ცოლი, შულცი და სხვანი.

„კოლუმბიის" ცხვირი რომლითაც „ვლადიმერს" დაეტაკა ძალიან დაზიანებულია, თუმც ამ გარემოებას მისთვის ხელი არ შეუშლია, ნაპირამდე მშვიდობიანად მიეღწია. იქ, სადაც ეს უბედურება მოხდა, გამომძიებელი, ბრალ-მდებელი და ექიმები გაემგზავრენ. („Кавказъ").

## კორესპონდენცია

**საჩხერე**, 17 ივნისს. წლეულს მშვენიერი პირი უჩანს აქეთ, ზემოიმერთში, მოსავალს: სიმინდი და ვენახი, რომელიც არის უმთავრესი ჩვენი სარჩო, სწორედ სასიამოვნო სანახავია ჯერ-ჯერობით; ხეხილები ხომ სულ მთლად დახუნძლულია და სიამოვნების ღიმილსა ჰგვრის ადამიანს. სწორედ საჭიროც იყო წლეულს უხვი მოსავალი შარშანდელ მოუსავლობით დამშეულ ხალხისათვის. შარშან მოუსავლობას პირუტყვის ჭირიც თან დაემატა და რამდენსამე სოფელში სრულიად გაანადგურა საქონელი.

ადვილი წარმოსადგენია ამას შემდეგ, როგორ მდგომარეობაში უნდა იყოს წლეულს აქაური მუშა ხალხი. ამ მდგომარეობას შარშანვე მიაქცია ყურადღება აქაურმა ადმინისტრაციამ და აღუთქვა ხალხს შემწეობა—მიეცესთ ხაზინიდგან სესხად ფული და ედროვოსთ სახელმწიფო გარდასახადი მომავალს მოსავლამდე. თუმცა პირველს დაპირებას ექვით შეხედეს გლეხებმა, მაგრამ მეორე-კი გაუმართლდათ და სიამოვნებით ამბობდნენ—ღმერთი ისე არ მოგვიძულებს, რომ მომავალი მოსავალი მაინც კარგი არ გვექმნეს; მაშინ „გავლონიერდებით და მთელის წლის გარდასახადს, როგორც იქმნება, ერთად გარდავიხდითო. მართლაც თებერვალსა და მარტში ალარ მოსთხოვეს გარდასახადი და იმათაც დაუტევეს ზრუნვა ხარჯის გადახდისა ამ ახალს მოსავლამდე; მაგრამ დადგა მაისი, დრო უკიდურესის მდგომარეობისა, როდესაც გაცხარებული მუშაობა და სარჩო-კი გლეხს არ აბადია. ამ დროს მოსთხოვეს გლეხს სახელმწიფო გარდასახადი. რაღა თქმა უნდა, ამ გარემოებამ გაახარა აქაური ჩარჩები, რომელნიც მანანასავით მოელიან ამ ნაირ გაჭირვების დღეს, რომ ხელში ჩაიგდონ მუშა ხალხი და ლუკმა გამოაცილონ პირიდამ

რაღა გზა დარჩენია საწყალს მუშა კაცს, მომავალი მოსავალი უნდა მუქთად ჩაუყაროს ხელში იმათ, რომელნიც არცა ჰხნავენ, არცა სთესვენ და საუნჯეს-კი ბლომად შეიკრებენ. ამ ნაირად გადავიდა წლეულს ჩარჩების ხელში მომავალი მოსავალი, მომავალი იმედი გლეხისა, რომელმაც გაჭირვების დროს იმავე ჩარჩებისაგან უნდა იყიდოს თითოოროლა ბათმანობით მამასისხლად თავისივე მოსავალი და აძლიოს თამასუქები მანეთში ორის-სამის მანეთისა.

ამას წინად ერთს აქაურს უცხოტომის ჩარჩს ვუთხარი: ღმერთი არა სწამს იმ შენს მეზობელს, რომ ერთს თუმანში სამ თვეს სარგებლად ხუთი კოკა ღვინო გარდაახდევინა გლეხსამეთქი!"

— ძალიან იაფად გაუციაო! მითხრა იმან პასუხად: დღეს მე თუმანი ექვს კოკად გავეცი იმავე ვადით და ორმოცი მანეთის თამასუქიც ზედ მეტი ჩამოვართვი, რომ პირი არ მიქციოს.

თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ კოკა ღვინო, რაც უნდა იაფი იყოს, სამს მანეთს ნაკლებ არ გაიყიდება, კაი სარგებელი უნდა იყოს! ამისთანა დროს მაინც დიდს სარგებლობას მოუტანდა გლეხებს შემნახველ-გამსესხებელი კასსა, რომლის დაარსებასაც დიდიხანია ვცდილობთ და ვერ მოგვიხერხებია.

წლეულსაც საქონლის ჭირმა უკვე იჩინა თავი. სოფელს ნიგოზეთში საქონლისგან კაცებსაც გარდასდებიათ და ხუთი კაცი დღესაც ავად არის. ერთი ამ ნაირი ავადმყოფი, იმავე სოფლიდგან მოყვანილი ექიმთან, ამ დღეებში აქ, საჩხერეში, გარდაიცვალა.

ზემოური

**გორი.** ამ ხუთის დღის წინ გორში მოვიდა ვითომც და ჰაეროსტატით ცაში აფრენის მცოდნე ამერიკელი. ქალაქში აფიშები გააკრეს, მაგრამ ჰაერში აფრენა მაინც ვერ მოხდა, რადგან ძლიერი ქარი ჰქროდა ხუთის დღის განმავლობაში. ბოლოს, 29 თიბათვეს, დიდ ძალი საზოგადოება შეიკრიბა გორის ციხეში და ელოდდა აფრენას ამ უცნობისას ჰაეროსტატით ჰაერში. ამინდიც წყნარი იდგა; სოფლებიდგანაც ჩამოსულიყვნენ ამ ამბის სანახავად. გამოჩნდა ვიღაც სომეხი ალავერდოვი, რომელიც თავის-თავს დირექტორად უწოდებდა. გამართა ფაცი-ფუცი, დაიწყო მზადება, „სფერაც" მოიტანა, ცეცხლი უნდა შეეკეთათ და ბოლით გაემსოთ, მაგრამ წარმოიდგინეთ საზოგადოების გაკვირვება, რომ იმის თვალთ წინ დახვდა ჰაერში მოგზაურობის მცოდნეს მაგივრად მატყუარა ალავერდოვი, რომელმაც, ჰაერში აფრენა-კი არა, ხეირიანად სიარულიც არ იცის. ხალხი მოტყუვდა, ბევრი გაცხარდა, მისცვივდნენ ალავერდოვს და ფულის თხოვნა დაუწყეს: „მოგვეცი ჩვენი ფულიო"... ალავერდოვი შეშინდა და ციხის ერთს ოთახში შეიმალა ყუთით, რომელშიაც ფული ჰქონდა. მაგრამ იქაც მიაგნეს და ძლივს ძლიობით გამოართვეს ბილეთის ფასი. მაგრამ ბევრს ფული დაეკარგა, რადგან ნაწილი შესულის ფულისა ალავერდოვის „სატრფოს'', რომელიც თან ახლდა, თან წაეღო და ტფილისს წასულიყო.

ი.

## კარნოს დასაფლავება

დიდის ამბით დაასაფლავეს 20 ივნისს პრეზიდენტი კარნო. რამდენისამე დღის წინად დაიწყო პარიზმა მზადება და დიდს ფაცა-ფუცში იყო. ჯერ ისევ სამის დღის წინად აუარებელი ხალხი ეხვია გარშემო ელისეს სასახლეს და აგრეთვე ღვთისმშობლის ტაძარსა და პანთეონს, საცა მრავალი ოსტატი და ხელოსანი გაჩქარებით მუშაობდა ამ შენობათა მოსართავად და შესამკობლად. პროცესიის გამგედ და ცერემონიის უფროსად დანიშნული იყო გარეშე საქმეთა სამინისტრო, რომელსაც სულ თავ-გზა ებნეოდა, იმოდენა ანა-ბანა და ათასი წვრიმალი საქმე ჰქონდა გასაკეთებელი, მოსამზადებელი და წინდაწინვე გასარიგებელი. ხალხი ზღვასავით მიაწყდა და ყველა სთხოვდა ბილეთს, რომ იქნება ერთი პატარა ადგილი გვიგულოთ სადმე პროცესიის საცქეროლადაო. სასტუმროებში ჰქდვა იყო იმათი, რომელნიც სხვა-და-სხვა მხრიდამ მოვიდნენ დელეგატებად და თან გვირგვინები ჰქონდათ მოტანილი. საშინელი ფაცაფუცი იყო აგრეთვე ყვავილების მაღაზიებში, რომლებსაც ფანჯრებში გამოეკიდნათ მრავალი, უზარმაზარი გვირგვინები. ასოციაციებსა და დელეგაციებს ხომ ჰქონდათ ერთი მისვლამოსვლა და მოლაპარაკება, სად ვინ დასდგეს, როგორ დავდგეთ, საით მხარეს ვინ იყოსო და სხვ. ასოციაციები და საზოგადოებანი იმდენი იყო, რომ მთლად დაიჭირეს ელისეს მინდვრები კამარა-შეკრულ სადღესასწაულო კარამდე. პროცესია ელისეს სასახლიდამ გაემართა ღვთისმშობლის ტაძრისაკენ, საცა გადახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი და შემდეგ პანთეონისაკენ, საცა დაკრძალულ იქმნა გვამი კარნოსი ვოლტერისა, რუსსოსი და ლაზარ-კარნოს ნეშტის მახლობლად. თვით ელისეს სასახლეში ერთი მოზრდილი ეზო გადაქცეული იყო კარვად და ამ კარავში აემართათ უზარ-მაზარი სამგლოვიარო კვარცხლ ბეკი, მორთული მრავალის ყვავილებითა, მწვანითა და ხვეულებით. კუბო დაასვენეს ზედ მხოლოდ დასაფლავების დღეს, დილით. კვარცხლ-ბეკს გარშემო შემორიგებული ჰქონდა უზარმაზარი შანდლები და შიგ წმინდა სანთლები ენთო. მთლად ეზო დაფენილი იყო შავის მაუდით. ზემოდამ გაემართათ უზარმაზარი სამზეურები, რომელსაც ხალხი უნდა დაეფარა მზის სხივებისაგან. ეზოში შესვლა მხოლოდ მცირეოდენს ხალხს ეღირსა, რადგან მთლად ოფიციალური პარიზი და ოფიციალური საფრანგეთი დაესწრო იმ დღეს კარნოს გამოსვენებაზედ. უფრო ნაკლებს ხალხს ეღირსა ღვთისმშობლის ტაძარში შესვლა. თუმცა ეს ტაძარი დიდია და შეუძლიან 6—7 ათას კაცს თავისუფლად მოთავსდეს, მაინც ადმინისტრაციამ შესვლის ნება მისცა მხოლოდ 3,000 კაცს ტაძარი სამგლოვიაროდ იყო მოწყობილი და კედლებს მთლად შავი ხავერდი ჰქონდა დანაოჭებით გაკრული. სვეტებსა და სვეტებს შორის თაღებიდამ ჩამოშვებული იყო შავი დროშები, ვერცხლის ფოჩებიანის ზოლებით გარშემოვლებული. შიგ შუაგულ ტაძარში სვეტებზედ იყო დამყარებული უზარმაზარი ამფიონი, რომლის ქვეშაც ამაღლებული იყო დიდი კვარცხლ ბეკი. კვარცხლ-ბეკის ოთხკუთხივ ენთო მწვანედ დიდი საკმეველნი და 16 ხომლი თითო თვრამეტ სანთლიანი. პანთეონი-კი უფრო სადად იყო მორთული. მორთული იყო მხოლოდ შუბლი ამ შენობისა; რადგან ცერემონია იქ თითქმის ცას ქვეშ მოხდა, ხუროთ-მოძღვარმა აღარ აალებინა ხარაჩოები, რომელიც წინადვე გაეკეთებინათ შენობის შესაკეთებლად. ხარაჩოებს მთლად სამგლოვიარო მატერია ჰქონდა გარშემო შემოკრული და ამ მატერიაზე იყო გამოყვანილი შნოს გულისთვის სხვა-და-სხვა სამკაული.

როცა პროცესია მივიდა, პანთეონში, კუბო სვეტებ შუა გაკეთებულ უზარ-მაზარ კვარცხ-ბეკზედ დაასვენეს. აქ წარმოთქმულ იქმნა სიტყვანი, რომელსაც ძლივს მესმედმა და მეათასედმა ნაწილმა მოისმინა თავმოყრილ-ხალხისამ. შემდეგ კუბო კვლავ გამოასვენეს პანთეონის მეიდანზე და კუბოს წინ გაუარეს თავიანთ გვირგვინებით ყველამ, ვინც პროცესიაში მონაწილეობას იღებდა.

ძნელია ჩამოთვლა ყველა დელეგაციისა და კორპორაციისა, რომელთაც დასაფლავებაში მონაწილეობა მიიღეს. უნდა ვსთქვათ მხოლოდ, რომ დასაფლავებას დაესწრნენ წარმომადგენელნი ყველა უწყებისანი, ყველა საზოგადო დაწესებულებისანი და მრავლისაგან მრავალი ასოციაცია და საზოგადოება, არა მარტო პარიზი, არამედ დაბა და სოფელიც წარმომადგენელნი სამზღვარ-გარეთისანიცა.

გზა-გზა ქუჩები სულ სავსე იყო ხალხით. იშვიათი სანახავი იყო ის ქუჩები, რომელზედაც კორტეჟმა გაიარა. მთელი ღამე გაეტარებინათ ქუჩაში ხალხს იმ აზრით, რომ იქნება ხვალ ერთი თვალი მაინც მოვკრა დიდებულს სამგლოვიარო კორტეჟსაო. მრავალგან კიბეები დაედგათ, ბივნები გაეკეთებინათ და ზედ ისე იყო შეხუნძლული ხალხი, თითქო ჯიანქველის გორებიაო. საცა მეიდნები იყო, ისე გავსებულიყო ხალხით, გეგონებოდათ დიდი ბაზრობაა ან დღეობაო. ათასი და ათი-ათასი კაცი ზღვასავით ჰღელავდა და ეძებდა მოხერხებულს ადგილს; ისმოდა ყვირილი იმათი, ვინც ან ჰყიდდა, ან ჰყიდულობდა საცქერს ადგილს. ეტლებ შორის მრავლად მოსჩანდა უხეირო სოფლური ომნიბუსები, რომლებსაც მრავლად ჩამოეყვანათ ხალხი ახლომახლო სოფლებიდამ. რადგან მაღლობი იყო და იქიდამ ცქერა სჯობდა პროცესიისა, ამიტომ ამ ომნიბუს-დილიჟნებში ადგილის შოვნისა და სყიდვისათვის ერთი ამბავი და თავ-პარის მტვრევა იყო. ბულვარზედ რაც ხეები იყო, ყველაზედ ხალხი შეხვეულიყო. ზოგს საქანელასავით ჩამოებათ მათს ტოტებზე ფიცრები, ზედ ისხდნენ და ჰქანაობდნენ ძალაუნებურად. მაღაზიებსა, საპაპიროზე დუქნებსა და კაფეებშიაც-კი ვაჭრობა შეწყვეტილი იყო. ზოგი მათ შორის დაეკეტნათ, ზოგში საქონელი აეკრიბნათ და ადგილები ფანჯრებისა გაექირავებინათ იმათთვის, ვისაც ცქერა უნდოდათ იქიდამ. უფრო აივნები იყო სავსე აჭრელებულის ხალხით. მოსჩანს აუარებელი სიმრავლე ქალების სამზეურებისა, გაზეთებისა, რომელსაც თავზედ იფარვენ კაცები, რომ მზის ცხუნვას ასცილდნენ. ამოდენა ზღვა ხალხს წესიერება არაფრით არ დაურღვევია. სამხედრო რაზმებს, რომელნიც მიდიან ქუჩაზედ მუსიკით, ეგებებიან ან ხმა-გაკმენდით, ან „ბრავოს" ძახილით. სიცილი და ხუმრობა გამოიწვია ხალხში მხოლოდ გიმნასტების მრავალ საზოგადოებათა, რომლის წარმომადგენელთ კაჭკაჭივით აჭრელებული ტანისამოსი ეცვათ. არ დასცინოდნენ მხოლოდ ჩეხელ გიმნასტებსა და ელზასელებს, რომელთა შორის ერივნენ ყმაწვილი ქალებიცა ელზასურ საერო ტანისამოსით დართულები. ამათ ყველგან თანაგრძნობით ეგებებოდნენ.

სწორედ 10 საათზედ შეიკრიბნენ სასახლეში სახელმწიფოთა წარმომადგენელნი, ნუნცი, წევრნი სახელმწიფო საბჭოსი, წარმომადგენელნი სენატისა და დეპუტატთა პარლამენტისა. მარცხნივ ამაღლებულს ადგილზედ მოთავსდნენ სადიპლომატო კორპუსი და საგანგებო ელჩნი და დესპანნი. ეს ადგილი იყო უფრო სასიამოვნო სანახავი: დიპლომატებისა და სამხედრო კაცთა მუნდირებს გაჰქონდათ ბჭყვრიალი სხვა-და სხვა ფერად, რადგან ზოგს წითლად ეცვა, ზოგს ყვითლად, ზოგს მწვანედ და სულ ოქროსა და ვერცხლში ისხდნენ. მოსჩანდა თეთრად რუსეთის კავალერგარდიც, რომლის მუზარადსაც საიმპერატორო არწივი ჰქონდა გაკეთებული ზედა. კვარცხლ-ბეკი აღარა სჩანდა გვირგვინებსა და ყვავილებში. ხელმწიფე იმპერატორის გვირგვინი ცალკე იყო: ამ გვირგვინის ყვავილები და ფერები ისე იყო შეხამებული, რომ საყოველთაო ყურადღებას იზიდავდა. ათს კაცს მიჰქონდა ეს გვირგვინი პროცესიის დროს. თერთმეტის 10 წუთ-

ზედ მობრძანდა რესპუბლიკის პრეზიდენტიცა და პროცესია გაემართა. თუმცა წესიერება საუკეთესოდ იყო დაცული და ხალხსაც კარგად ეჭირა თავი, მაინც იმოდენა ზღვა ხალხი იყო მომსკდარი, რომ მეორე დღეს გაზეთებში არა ერთსა და ორს ამბავს შეხვდებოდით უბედურებისას. ბევრი უფრო მაღლობ ადგილებიდგან გადმოვარდნენ და ეტკინათ რამე. ბევრს მზემ დაჰკრა თავში. „Figaro» ამბობს, რომ ჯარის-კაცთ გარდა, 122 კაცს დაჰკრა მზემ თავში იმ დღესათ.

## ბიბლიოგრაფია

ჩვენ მოგვივიდა ინგლისურს ენაზედ გადათარგმნილი და ლონდონში დაბეჭდილი ქართული ზღაპრები. ამ კრებულში დაბეჭდილია თექვსმეტი ქართლ-კახური ზღაპარი, რვა—მეგრული ზღაპარი გურული თოთხმეტ და ოც-და-რვაც ანდაზა. წიგნი შეიცავს 175 გვერდს და სათაურად აწერია „Georgian Folk Tales“, translated by Marjory Wardrop. პირველსავე გვერდზედ ამ წიგნისა დაბეჭდილია საქართველოს გერბი. ამ ჟამად ჩვენ მოგვყავს მხოლოდ წინასიტყვაობას ქ-ნ ვარდროპისა. აი რასა სწერს იგი:

„ამ პაწია წიგნმა იქნება მიიქციოს ინგლისის საზოგადოების ყურადღება, რადგანაც იგი ერთად-ერთია გადმოთარგმნილი ქართულ საერო ლიტერატურიდგან ინგლისურს ენაზედ. ქუთათელის ეპისკოპოზის გაბრიელის ქადაგებათა გარდა, რომელიც დაჰბეჭდა: „Rev. S. C. Malan“-მა 1867 წ., მე სხვა ნაწარმოები ქართულის მწერლობისა ინგლისურს ენაზედ არა მეგულება-რა. აი, ამ გარემოებით აიხსნება ერთის მხრივ, რომ ალმოსავლეთი და მისი ზნე-ჩვეულება ჩვენში ჯერ უყურადღებოდ არის დარჩენილი; იმედია ეს ნაკლი მალე იქნება შევსებული. რამდენისამე წლის წინად პირველად მიიზიდა ჩემი ცნობის-მოყვარეობა და აღძრა გულში ინტერესი საქართველოსი და იმისის მხნე და მშვენიერს ერისა ჩემის ძმის მიერ დაწერილმა წიგნმა *). წარსულ ორის წლის განმავლობაში მრავალი დრო მოვანდომე ქართულ კლასიკურ ლიტერატურას და განსაკუთრებით მეთორმეტე საუკუნის ეპიკურ პოეტის შოთა რუსთაველის შესწავლას, და იმედი მაქვს მალე გავუზიარო ჩემს თანამემამულეთ ის სიამოვნება, რომელიც მე ამ წიგნმა მაგრძნობინა. სხვათა შორის ამ ხნის განმავლობაში გადმოვიღე ინგლისურ ენაზედ ზოგიერთი ქართული ზღაპრებიც, რომელსაც ახლა ვბეჭდავ. ეს ზღაპრები მე წავუკითხე დოქტორს ტაილორს, რომელმაც მითხრა, რომ ამ ზღაპრებში მრავალი სახალხო ლეგენდა იხატება, ფრიად საინტერესო, და მირჩია გამომეცა. ამითი აიხსნება, რომ მე ვუძღვენი ეს წიგნი შემქნელს ახალის ანტროპოლოგიისას, რომელმაც თავაზიანად დამრთო ამისი ნება.

„საქართველო გაზიდულია აღმოსავლეთიდგან დასავლეთს და წაავგავს ხიდს, რომელზედაც გაჰქონდათ როგორც აზრები, ისე ყოველ გვარი სავაჭრო საქონელი და ეს გარემოება ჰხდის საქართველოს მდიდარ ყანად ყოველ გვარის სამეცნიერო გამოკვლევისათვის. რაკი პოლიტიკურად და სარწმუნოებით ერთის მხრივ კავშირი ჰქონდათ ბიზანტიასთან და მეორეს მხრით სპარსეთთან, ამიტომ ივერიელებმა ბევრი რამ შეითვისეს ქრისტიანეთაგან და აგრეთვე მაჰმადიანთაგანაც, და საქართველოში კიდევ შესაძლოა იპოვოს და განაახლოს კაცმა ის რგოლები ისტორიულისა და ლიტერატურულის ჯაჭვისა, რომელიც ჩამწყდარი და საძებნელი».

„წყარონი, საიდგანაც მე ამოვ ღ/ე ეს ზღაპრები, შემდეგი ა: ნაწ. I ზღაპართა კრება ბ-ნის აღნიაშვილისა გამოცემული ქართველთა გამომცემელ ამხანაგობისაგან, 1891 წ. ამ სათაურით: „ხალხური ზღაპრები“. მეორე ნაწ. შეიცავს მეგრულ ზღაპრებს, 1876—1879 შეკრებილს პროფესორის ალ. ცაგარელისაგან მომეტებულად საჩიჩუოსა და სალიპარტიანოში, რომელიც შუაგულს სამეგრელოში მდებარეობს.

„ხსენებულ ადგილებში მთლად დარჩენილა სიწმინდე მეგრულის ენისა, რადგან გარეშე გავლენა არ შეჰხებია. მეგრული კილო მალე შეიძლება შეცვლილ იქმნას ქართულის ენით მთელს სამეგრელოში. მესამე ნაწილი ამოღებულია ზღაპართა კრებულიდგან, რომელიც გამოცემულია ბ-ნ ბებურ ბ—საგან პეტერბურგს 1884 წ. შეიძლება იფიქროს კაცმა, რომ ეს სამგვარი ზღაპრები, გარდა გეოგრაფიულის მსგავსებისა, სულ ერთისანი არიან. მეორე ნაწილი უფრო სადაა და მდაბიო, ვიდრე პირველი. მესამე ნაწილი-კი უფრო სასაცილოა და დიდაქტიური.

„დასასრულ მადლობას ვუძღვნი თავადს ივანე მაჩაბელს, ტფილისელ მთარგმნელს შექსპირისას ქართულ ენაზედ, რომელმაც ეს ჩემი შრომა დასტამბამდე გადაიკითხა, და ჩემს ძმას, რომელმაც გადამითარგმნა ის ნაწილი ამა წიგნისა, რომელიც რუსულიდან არის ამოღებული“.

*) The Kingdom of Georgia: Notes of Travel in a Land of Women, wine, and Song. By Oliver Wardrop. London: sampson Low, 1888.

## წერილები რედაქციის მიმართ

შარშანდელი სეტყვისა და უამინდობისაგამო მეჯვრუხევში ცოტა იყო პურეულობის მოსავალი, ღვინისა-კი არავითარი. ამიტომ პატივცემულმა კნეინა დარია დიმიტრის ასულმა ერისთავისამ მომანდო მე დასარიგებლათ მეჯვრუხევის გაჭირვებულ მცხოვრებთათვის ჩვიდმეტი ფუთი ხორბლის ფქვილი, რომელიც ცხრამეტ უფრო ღარიბ მოსახლეთა გაუნაწილე. ამისთანა მებრალებისათვის უველა თვალთცრემლ-მორეულნი გულმხურვალეთ ჰმადლობდნენ კნეინას და ღმერთს ევედრებოდნენ იმათს დღეგრძელობას.

პატივცემულმა კნეინამვე დაგვითმო გაზეთ „კვალის“ და ჟურნალ „მოამბის“ ნომრები მდგომარე წლისა საყოველთაო სასარგებლოდ. ვისაც სურს საკითხავად, მე მომკითხს. ულრმესად ვმადლობ პატივცემულ კნეინა დარია დიმიტრის ასულს ერისთავისას.

დიდ-მეჯვრუხევის მღვდელი
ი. ხახუტაშვილი.


# განცხადებანი

## ცხოვრება
დიდისა მოწამისა პანტელეიმონისა

თარგმნილი
მ. შარაძის მიერ, გამოცემა ი. ჩაჩუასა
**ფასი ერთი შაური**
ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში და შარაძისა და ამხან. სტამბაში.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდე, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

უ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი, —11 1/2—12 1/2 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. 12 1/2—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. ზ. კარაშეტიანცი, 1—1 1/2 საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7 1/2 საათამდის.

ქ. ი. ფრანციუსი, 7—7 1/2 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერი ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

დაიბეჭდა და ისყიდება
წერა-კითხვის საზოგადოების წიგნთ-საწყობში და ქართველთ ამხანაგობის მაღაზიაში

## დავითიანი
თქმული
დავით გურამიშვილის მიერ
პეტრე უმიკაშვილის და გ. წერეთლის წინასიტყვაობით.
მესამე გამოცემა
ზ. ჭიჭინაძისა.
ფასი 1 მანეთი
(3—2)




ტფილისში ა. არისტაკოვის სააფთიაქო მაღაზიაში და „კავკასიის ამხანაგობსაის“ წყობში.

## ჩემს ახლად დაარსებულ
## ღვინის სარდაფში

(გოლოვინის პროსპექტი და კრუზენშტერნის ქუჩა, სახლი დობრჟანსკისა № 1 და 18)

ისყიდება ნამდვილი კახური ჩემისავე საკუთარის ვენახების ღვინოები — სოფ. ყვარლისა და რუისპირიდგან ჩამოტანილი. დავაარსე იმ აზრით, რომ როგორც ადგილობრივ, ისე კავკასიის გარეშეც გატანილ იქმნას და გავრცელდეს ნამდვილი, შეურეველი კახური ღვინო. ღვინო ისყიდება ნარდადაც და წვრილ-წვრილადაც.

ბოთლი ღვინო ჰღირს 15 კაპ. 60 კაპიკამდე, ვედრო თერთმეტ აბაზიდგან რვა მანეთამდე.

თავ. გიორგი მელქისედეკის ძე ჭავჭავაძე
(6—1324—6)

## დედა-ენა

დაიბეჭდა მეათედ წერა-კითხვის საზოგადოების მიერ და ისყიდება მისს მაღაზიაში ყდაში დაკაზმული ორ-აბაზად. ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ოც-და-ათს, ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობათ ექვსს შაურად და ორ კაპეიკად-32 კაპ. უყდოთ ეს წიგნი აღარ იყიდება. ტექსტი წიგნისა უცვლელად არის დარჩენილი, მხოლოდ ანბანის ბოლოში ჩამატებულია პატარა ლოცვები ღვთის-მშობლის და მაცხოვრის სურათებითა და გადიდებულია ხუცური განყოფილება, რომელიც შეიცავს ხუცურს ანბანსა, ხუცურს სიტყვებსა სრულად და ქარაგმით, ფსალმუნებსა ხუცური და მხედრული ასოებით, ზნეობრივს ადგილებსა დაბადებიდგან და იგავებს მაცხოვრისას ორივე შრიფტით და ბოლოს ფსალმუნებს მარტო ხუცურის ასოებით. დედანიც შევსებულია წვრილი ხელით, რომელიც წინედ აკლდა, საზოგადოდ ეს მეათე გამოცემა წინანდელებს აღემატება თექვსმეტი გვერდით, ფასი-კი წინანდელია დარჩენილი იმ განსხვავებით, რომ მყიდველებს ეთმობათ წიგნზედ რვა კაპეიკი წინანდელის შვიდის კაპეიკის მაგივრად. (10—6)

დამზღვევი საზოგადოება
## „იაკორი“
(დუზა)
უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც ძირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს, გარდა სათადარიგო ფულისა.

## დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ. დაზღვეულს მონაწილეობა ექნება აგრეთვე საზოგადოების მოგებაში.

## დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღწამოსაღების საქონლისა.

წესები, პირობები წერილობითი და სიტყვიერი მოლაპარაკება განეზიარება მსურველს ტფილისის საზოგადოების გამგეობაში, რომლიც დადგენილია კავკასიის მხრისათვის და იმყოფება ბარონის ქუჩაზე, კალოუბნელის სახლში, ანუ თვით საზოგადოების აგენტის ალექსანდრე პეტრეს ძის ზავრიევისაგან, რომელიც დგას ველიამინოვის ქუჩაზე № 2. (50—1234—22)




„ნევის კაპრიზები“
დუხები—„ნევის კაპრიზი“
ოდეკოლონი—„ნევის კაპრიზი“
საპონი—„ნევის კაპრიზი“
„მიუსკ“ დუხები | ახალი ამბავი ს.-პეტერბურგის | „მიუსკ“ საპ. ფოდრ.

სატექნიკო და სახიმიო ლაბორატორიისა.

„კაპრიზ ნევის“ გასაკეთებელს იარალს მრავალი კარგი ღირსება. აქვს და დამზადებულია ქ. ჩიკაგოს გამოფენისათვის.

საწყობები: С.-ПЕТЕРБУРГЪ, площадь Александринскаго театра, 9.

Москва, Никольская, д. Шереметьева.
Варшава, Новый Свѣтъ, 37, და საუკეთესო რუსეთის მაღაზიებში
(50—49)